ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

ქ. ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების უცხოელი სტუდენტების მდგომარეობის, პრობლემებისა და საჭიროებების

კვლევის ანგარიში

კვლევა ჩატარდა **ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტის”** მიერ, პროექტის - „პასუხი იმიგრანტთა საჭიროებების სწრაფი შეფასებისას გამოვლენილ პრობლემებზე“, ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) EMERGE (georgia.iom.int/EMERGE) პროექტის მხარდაჭერით, რომელიც დაფინანსებულია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეხედულებებს.

ბათუმი, საქართველო

-2021-

სარჩევი

კვლევის შესახებ 4

კვლევის მიზანი და ამოცანები 4

კვლევის მეთოდოლოგია 5

კვლევის მეთოდი 5

კვლევის ინსტრუმენტები 5

შერჩევის დიზაინი 5

კვლევის ადმინისტრირება 6

I. კვლევის შედეგები 7

1. მონაცემთა ანალიზი 7

1.1 სტუდენტთა გამოპასუხების ზოგადი ანალიზი 7

1.2. რესპოდენტთა პროფილი 7

1.3. რესპოდენტთა განაწილება საქართველოში ცხოვრების პერიოდის მიხედვით. 8

1.4. უცხოელ სტუდენტთა მიერ სწავლების ხარისხის შეფასება 8

1.5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურების უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაციის გამჭვირვალობა 12

1.6. უცხოელი სტუდენტების მიერ სტუდენტობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის ფლობა. 13

1.7. სტუდენტთა ინფორმირებულობა სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ. 14

1.8. სტუდენტთა ინფორმირებულობა სწავლის ხანგრძლივობის შესახებ. 14

1.9. საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის შესაძლებლობების თანაბრობა. 15

1.10. დამატებითი შესაძლებლობების მიმართ რესპოდენტთა ინტერესი. 16

1.11. რესპოდენტთა წვდომა ბსუ-ს ინტერნეტ პორტალზე. 16

1.12. რესპოდენტთა ინფორმირებულობა სტიპენდიების შესაძლებლობებზე უნივერსიტეტში/საქართველოში. 17

1.13. რესპოდენტთა ინფორმირებულობა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის შესახებ. 18

1.14. უცხოელ სტუდენტთა განთავსება და საცხოვრებლის დაქირავება. 18

1.15. უცხოელი სტუდენტების დასაქმება. 19

1.16. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. 19

1.17. დისკრიმინაციული მოპყრობა. 20

1.18. დისკრიმინაციული მოპყრობის ფორმები. 20

1.19. ღონისძიებები/შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ უცხოელი სტუდენტების საქართველოში ცხოვრების უკეთესი გამოცდილების მიღებას. 21

1.20. უცხოელი სტუდენტების მიერ ენების ფლობა. 21

1.21. უცხოელი სტუდენტების უფლებები და სამართლებრივი დახმარების საჭიროება. 22

1.22. იურიდიულ მომსახურებასთან/კონსულტაციასთან წვდომა. 22

1.23. იურიდიული კონსულტაციების საჭიროება საკითხების მიხედვით. 23

1.24. საქართველოში ბინადრობის უფლების მიღების პროცედურები. 23

1.25. იმიგრანტთა/სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ფლობა. 24

1.26. სიახლეების, წესებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები. 25

1.27. დაჯარიმების შემთხვევები სამართალდარღვევების გამო, გამოწვეული კანონების/დადგენილებების/რეგულაციების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით. 25

1.28. ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისებთან ხელმისაწვდომობა. 25

1.29. ფსიქოლოგიურ დახმარებაზე/თანადგომაზე ხელმისაწვდომობა. 26

II. ძირითადი მიგნებები. 27

2.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა სწავლის პირობებთან დაკავშირებით. 27

III. რეკომენდაციები 30

3.1. რეკომენდაციები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. 30

3.2. რეკომენდაციები რეგიონული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის. 33

3.3. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. 35

3.4. რეკომენდაციები ინდოეთის სახელისუფლებო ორგანოების, სომხეთსა და საქართველოში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს და ინდოეთის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. 35

კვლევის შესახებ

ანგარიში მომზადებულია ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტის” მიერ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „პასუხი იმიგრანტთა საჭიროებების სწრაფი შეფასებისას გამოვლენილ პრობლემებზე“ მეორე ფაზის რეალიზაციის ფარგლებში.

2020 წლის აგვისტო-სექტემბერში, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა “ინტელექტი”, პროექტის - „პასუხი იმიგრანტთა საჭიროებების სწრაფი შეფასებისას გამოვლენილ პრობლემებზე“ პირველი ფაზის პერიოდში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები იმიგრანტების მდგომარეობის, პრობლემებისა და საჭიროებების კვლევა. კვლევამ მოიცვა ისეთი საკითხები, როგორიცაა: იმიგრაციის მიზეზები და იმიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობა; იმიგრანტთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა; იმიგრანტთა უფლებების დაცვა; იმიგრანტთა საჭიროებები. კვლევის შედეგების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა რესპონდენტთა ცალკე კატეგორია - უცხოელი სტუდენტები, რომელთა მიერ გაცემულმა პასუხებმა მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება და გამოკვეთა ამ ჯგუფის უფრო სიღრმისეული შესწავლის საჭიროება. მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პრობლემა, რომლებიც საჭიროებდნენ რეაგირებას, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების ფინანსური პოლიტიკის გამჭვირვალობის მხრივ უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში. ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ამ კატეგორიის რესპონდენტთა რაოდენობა იყო მცირე და მისი შედეგები არ იძლეოდა არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის საშუალებას. გარდა ამისა, კვლევის მიზანი და შესაბამისად, კითხვარის დიზაინი, არ იყო კონკრეტულად ორიენტირებული უცხოელი სტუდენტების პრობლემებისა და საჭიროებების კვლევაზე/შესწავლაზე. შესაბამისად, გადაწყდა ცალკე კვლევის ჩატარება მხოლოდ უცხოელი სტუდენტების მდგომარეობის, პრობლემებისა და საჭიროებების გამოკვლევის მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ. ბათუმში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მდგომარეობის, პრობლემებისა და საჭიროებების კვლევის ანალიტიკურ ანგარიშს.

კვლევის მიზანი და ამოცანები

პროექტის - „პასუხი იმიგრანტთა საჭიროებების სწრაფი შეფასებისას გამოვლენილ პრობლემებზე“ ერთ-ერთი მიზანია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამჭვირვალე ფინასური პოლიტიკის ჩამოყალიბება უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში.

როგორც უცხოელ სტუდენტთა ფინანსური დანახარჯების საკითხის წინასწარი შესწავლის დროს გამოიკვეთა, გამჭვირვალე ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება არ წარმოადგენს ერთ კომპონენტიან ამოცანას და არ შემოიფარგლება მხოლოდ უნივერსიტეტისთვის სწავლის საფასურის გადახდით. უცხოელი სტუდენტების არაგამჭვირვალე ფინანსური დანახარჯები განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სწავლის საფასურის მიმღები ორგანიზაცია(ები) და შუამავლების არსებობა ფინანსური ტრანზაქციების ჯაჭვებში, სწავლის ხანგრძლივობა და მასთან დაკავშირებული სწავლის გადასახადი, დამატებითი დანახარჯები სწავლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე (მგზავრობა, საქართველოში ცხოვრების ხარჯები და ა.შ.), შუამავალი კომპანიების მომსახურების ხარჯები, სტუდენტის სტატუსიდან გამომდინარე სხვადასხვა შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა და ა.შ.

გარდა ფინანსურისა, მიზანშეწონილად ჩაითვალა შესწავლილიყო სხვა პრობლემებიც, რომლებიც უცხოელ სტუდენტთა წინაშე დგას და რომლებიც, შესაძლოა პირდაპირ ან ირიბად ახდენენ გავლენას უცხოელ სტუდენტთა ფინანსურ დანახარჯებზე.

ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს კომპლექსურად შევისწავლოთ უცხოელი სტუდენტების პრობლემები და საჭიროებები, მათ შორის კავშირები და ამით ავამაღლოთ შემუშავებული რეკომენდაციების მიზნობრიობა და ეფექტიანობა.

საბოლოო ჯამში, უცხოელ სტუდენტთა სწავლისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათი კმაყოფილების ხარისხის ამაღლება გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ბათუმის, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის სასწავლო, ასევე ტურისტული მიმართულების მიმზიდველობის ზრდას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო სასწავლო და ტურისტულ ბაზრებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა შეისწავლის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის იმ უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც გამოკითხვის მომენტისათვის სწავლობენ ამ უმაღლესი სასწავლებლების სამედიცინო ფაკულტეტებზე, მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად. შესაბამისად, კვლევამ მოიცვა ის უცხოელი სტუდენტები, რომლებიც გამოკითხვის მომენტისათვის იმყოფებოდნენ ქ. ბათუმში და ასევე ის სტუდენტებიც, რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ.

კვლევის მეთოდი

კვლევისთვის გამოყენებული იქნა Google forms პლატფორმა, სადაც განთავსდა ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ მიერ შემუშავებული კითხვარი ინგლისურ ენაზე. კითხვარის შევსების საშუალო ხანგრძლივობა - 20 წუთი.

კითხვარი შეიცავდა როგორც დახურულ კითხვებს, ასევე ღია კითხვებს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს ეძლეოდათ საშუალება უფრო ვრცლად დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ან განემარტათ მათ მიერ არჩეული პასუხი.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. კითხვარი შედგება 4 თემატური ბლოკისგან. თითოეული ბლოკი განკუთვნილია გარკვეული ტიპის ინფორმაციის მისაღებად:

- უნივერსიტეტში არსებული სასწავლო გარემო და სასწავლო პროცესი;
- სტუდენტთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა;
- სტუდენტთა უფლებების დაცულობა, დაცვის ინსტრუმენტები და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- სტუდენტთა სადაზღვევო სერვისებთან ხელმისაწვდომობა და ფსიქოლოგიური თანადგომა.

შერჩევის დიზაინი

შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) და ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის (ბაუ) სტუდენტები, რომლებიც გაერთიანებული არიან ა(ა)იპ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ მიერ ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილ სპეციალურ ჯგუფში, სოციალურ ქსელ ფეისბუქში.

კვლევა ეყრდნობა მოპასუხეთა მოხალისეობრივი შერჩევითი ერთობლიობის მეთოდს. შერჩევის ზომა განისაზღვრა 133 სტუდენტით, რაც უზრუნველყოფს 8%-იან მაქსიმალურ ცდომილებას 95%-იანი სანდოობის გათვალისწინებით.

გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 8-21 მარტის პერიოდში და მასში მონაწილეობა მიიღო 133-მა სტუდენტმა, რომელთაგანაც 98,5% (131 სტუდენტი) სწავლობდა ბსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე. აღნიშნულ პროგრამაზე ბსუ-ში კვლევის ჩატარების პერიოდში სწავლობდა 601 სტუდენტი.

კვლევის ადმინისტრირება

კვლევის საწყის ეტაპზე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ სპეციალისტების მიერ განხორციელდა საკითხის წინასწარი შესწავლა და შემუშავდა შესაბამისი კითხვარი.

სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდა კითხვარის აპრობაცია უცხოელ სტუდენტთა თემის ლიდერებთან შეხვედრაზე. შეხვედრის შედეგად დაზუსტდა კითხვარის ზოგიერთი შეკითხვის ფორმულირება და სტუდენტებისათვის უფრო გასაგები ფორმით ჩამოყალიბდა. საბოლოოდ, ჩატარდა კითხვარის პილოტირება და შემუშავდა კითხვარის შევსების ინსტრუქცია.

კითხვარის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში მონაწილეობა მიიღეს უცხოელ სტუდენტთა თემის ლიდერმა სტუდენტებმა ბსუ-სა და ბაუ-დან, ასევე მოხდა მისი გაზიარება ორგანიზაციის მიერ სპეციალურად უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილ ფეისბუქ ჯგუფში და სხვა სოციალურ ქსელებში.

კვლევის შედეგების დამუშავების პროცესში, ზოგიერთ ღია კითხვაზე პასუხის შინაარსის დაზუსტების ან/და უკეთ გაგების მიზნით მკვლევრები უკავშირდებოდნენ შესაბამის რესპონდენტებს.

კვლევის შედეგების დამუშავების შემდგომ მოხდა კვლევაში მონაწილე სტუდენტთა ნაწილთან შეხვედრა, რომლის დროსაც ჩატარდა ჯგუფური დისკუსია და მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტება.

I. კვლევის შედეგები

1. მონაცემთა ანალიზი

1.1 სტუდენტთა გამოპასუხების ზოგადი ანალიზი

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების საწყისი სამიზნე რაოდენობა, განხორციელებული შერჩევის მიხედვით, იყო უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილ სპეციალურ ფეისბუკ ჯგუფში გაერთიანებული 240 ადამიანი. რესპონდენტთა ჩართულობისა და გამოპასუხების მაჩვენებელი - 55%-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ არსებული პანდემიური მდგომარეობისა და სტრესული სიტუაციის გამო, გართულებული იყო პოტენციურ რესპოდენტებთან კომუნიკაცია.

1.2. რესპოდენტთა პროფილი

სულ გამოიკითხა ქ. ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების 133 უცხოელი სტუდენტი. რესპონდენტთა შესახებ ზოგადი ინფორმაცია შემდეგია:

- **მოქალაქეობა:** 97.7% (130 სტუდენტი) ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქეა. თითო სტუდენტია წარმოდგენილი ეგვიპტიდან, ყაზახეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან;
- **სქესი:** გამოკითხულთა შორის 47% სტუდენტი მამრობითი სქესისაა (76), ხოლო 43% სტუდენტი მდედრობითი სქესის (57);
- **ასაკი:** 18-30 წლის, აქედან 91% (121 სტუდენტი) 20-25 წლის;

უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სწავლობენ რესპოდენტები:

- 98,5% (131 სტუდენტი) - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბსუ);
- 1,5% (2 სტუდენტი) - ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი (ბაუ).

ყველა რესპოდენტი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტია.

<u>შენიშვნა:</u> ვინაიდან კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (98,5%) წარმოადგენენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, შესაბამისად, კვლევის შედეგების ის ნაწილი, რაც დაკავშირებულია სწავლის პირობებთან, განზოგადდა ამ უნივერსიტეტთან მიმართებაში.

1.3. რესპოდენტთა განაწილება საქართველოში ცხოვრების პერიოდის მიხედვით.

რესპონდენტთა 96% პროცენტი საქართველოში ცხოვრობს და სწავლობს 2 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში. სათანადო მიდგომების შემთხვევაში, ეს პერიოდი საკმარისია ქართული ენის საბაზისო დონეზე შესწავლისა და ადგილობრივ საზოგადოებაში უცხოელ სტუდენტთა ადაპტაციისათვის.



დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობის მიხედვით.

1.4. უცხოელ სტუდენტთა მიერ სწავლების ხარისხის შეფასება

1.4.1. სასწავლო განრიგი და მისი მართვა

რესპოდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი, (9%), აფასებს სასწავლო განრიგს როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი“, 31% აფასებს საშუალოდ, ხოლო სტუდენტების 60% სასწავლო განრიგს აფასებს უარყოფითად და შეფასების მიზეზებად უთითებს უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის ოფიციალური სათანადო კომუნიკაციის არხების არარსებობას, დაგვიანებულ ინფორმირებას სწავლის განრიგზე ან მასში განხორციელებულ ცვლილებებზე.



დიაგრამა 2. უნივერსიტეტის სასწავლო განრიგით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

რესპოდენტთა ინფორმაციით, სასწავლო მოდულების და სილაბუსების შემადგენლობის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა წინასწარ ნაკლებად ხდება. ასევე, უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ მხოლოდ მომდევნო ერთი კვირის შესახებ სწავლის განრიგი

და არა მთელი სემესტრის შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, მოწოდებული განრიგი ხშირად იცვლება.

1.4.2. ლექციები და სალექციო პროცესი

რესპოდენტები ლექციებს და ლექტორებს უმეტესად აფასებენ როგორც „საშუალო“ (48%), 23% კი დადებითად აფასებს. კომენტარებში ნახსენებია ზოგიერთი ლექტორის მიერ ინგლისური ენის არასათანადო დონეზე ფლობა. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ლექციებს შორის დროის დიდი შუალედია და სტუდენტებს უწევთ ხანგრძლივი ლოდინი მომდევნო ლექციის დაწყებამდე.

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ლექტორებს არ ჩაუტარებიათ ლექციები, თუმცა მოდულის დასრულების შემდეგ ლექტორმა ჩაიბარა გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტებს ჰქონიათ საუბარი უნივერსიტეტის დეკანატის წარმომადგენლებთან, თუმცა უშედეგოდ.

სტუდენტები, გამოთქვამენ სურვილს ქართული ენის კურსის ხანგრძლივობის გაზრდაზეც.



დიაგრამა 3. ლექციებით და სალექციო პროცესით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

1.4.3. გამოცდების მართვა

რესპოდენტების უმეტესი ნაწილი (62%) გამოცდების მართვას დამაკმაყოფილებლად აფასებს (საშუალო - 40%, კარგი 22%).



დიაგრამა 4. გამოცდების მართვით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

ნეგატიური შეფასება დააფიქსირა 35%-მა (ცუდი - 24%, ძალიან ცუდი - 11%).

რესპოდენტები თავიანთ კომენტარებში გამოყოფენ სასწავლო მოდულის ვერ დაძლევის შემთხვევაში მისი ხელმეორედ გავლასთან დაკავშირებით რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას.

1.4.4. სასწავლო ინფრასტრუქტურა/გარემო

რესპოდენტების უმეტესი ნაწილი სასწავლო ინფრასტრუქტურას/გარემოს აფასებს ძირითადად როგორც „საშუალოს“ (38%) და „კარგს“ (20%). ზოგიერთი სტუდენტი აცხადებს, რომ ზოგ შემთხვევაში არის თავისუფალი აუდიტორიების ან აუდიტორიაში თავისუფალი ადგილების ნაკლებობა.

სასწავლო გარემოს უკავშირდება რესპოდენტთა უკმაყოფილება ბსუ-ის მხრიდან მათი პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებას, სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის შექმნილ არაოფიციალურ ონლაინ ჯგუფში (მაგ. პირადი/პასპორტის ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, მისამართი, დაგროვილი ქულების რაოდენობა). შესაბამისად, აღნიშნულ ჯგუფში გაწევრიანებულ ყველა სტუდენტს აქვს წვდომა როგორც საკუთარი, ასევე სხვა სტუდენტების პირადი მონაცემების შემცველ ინფორმაციასთან.



დიაგრამა 5. სასწავლო ინფრასტრუქტურით/გარემოთი რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ბსუ-ის მიერ უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილი ელექტრონული ფოსტის მისამართებიც შეიცავენ პირად/პასპორტის ნომრებს, რაც ასევე არ არის მისაღები სტუდენტებისთვის.

1.4.5. ლაბორატორიებზე წვდომა/პრაქტიკა

ლაბორატორიებზე წვდომას და სამედიცინო პრაქტიკას რესპოდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი (7%) აფასებს როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი“, ხოლო შეფასება „ძალიან ცუდი“ და „ცუდი“ დააფიქსირა 78%-მა. აღნიშნული შეფასების მიზეზებად სტუდენტები უთითებენ ლაბორატორიაზე წვდომის არარსებობაზე/ნაკლებობაზე, ასევე ლაბორატორიული და კლინიკური პრაქტიკის ნაკლებობაზე. სტუდენტების ინფორმაციით, მათ ფაქტობრივად არ აქვთ საშუალება კლინიკური პრაქტიკის პერიოდში უშუალოდ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის აქტივობებში და უმეტესად დაკვირვებით შემოიფარგლებიან. შესაბამისად, სტუდენტებს არ ეძლევათ საშუალება განამტკიცონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გაიღრმავონ თეორიული ცოდნა სხვადასხვა კლინიკურ სიტუაციაში.



დიაგრამა 6. ლაბორატორიებზე წვდომის/პრაქტიკით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

1.4.6. ბიბლიოთეკაზე წვდომა და წიგნების გამოტანა

საბიბლიოთეკო რესურსებთან წვდომისა და წიგნებით სარგებლობასთან დაკავშირებით კმაყოფილია გამოკითხულ რესპოდენტთა 26% (შეფასება - „ძალიან კარგი“ – 8%, „კარგი“ – 18%). 41%-მა აღნიშნული სერვისი უარყოფითად შეაფასა (შეფასება - „ძალიან ცუდი“ – 24%, „ცუდი“ – 17%). ძირითადი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სტუდენტებს არ ეძლევათ სასწავლო ლიტერატურის სახლში წაღების საშუალება. მათ შეუძლიათ წიგნებით სარგებლობა მხოლოდ ბიბლიოთეკის დარბაზში და ხშირ შემთხვევაში ისიც იმ პირობით, თუ ისინი სანაცვლოდ ბიბლიოთეკართან დატოვებენ პასპორტს.

სტუდენტების ინფორმაციით, ხშირ შემთხვევაში, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა არასაკმარისია.



დიაგრამა 7. საბიბლიოთეკო რესურსებთან წვდომის/წიგნების გამოტანის საშუალებით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

1.4.7. დასვენება და არასასწავლო ღონისძიებები.

შეფასება „ძალიან ცუდი“ და „ცუდი“ დააფიქსირა 79%-მა (54% - „ძალიან ცუდი“, 25% - „ცუდი“). სტუდენტებში არის სურვილი არსებობდეს უფრო მეტ არასასწავლო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მათ შორის ქართველი და უცხოელი სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობითაც, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტების უფრო მეტად ინტეგრირებას

ადგილობრივ საზოგადოებაში და ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებას. მსგავსი გამოცდილება დადებითად აისახებოდა მათზე, როგორც სტუდენტებზე.



დიაგრამა 8. დასვენებისა და არასასწავლო ღონისძიებებით რესპოდენტთა კმაყოფილების ხარისხი.

1.5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურების უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაციის გამჭვირვალობა

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კომუნიკაციას უცხოელ სტუდენტებთან რესპოდენტების ნახევარზე მეტი აფასებს უარყოფითად. მხოლოდ 12% აფასებს კომუნიკაციის გამჭვირვალობას, როგორც „კარგი“ და „ძალიან კარგი“. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ბსუ-ის არაეფექტური კომუნიკაციით მის სტუდენტებთან.



დიაგრამა 9. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურების უცხოელ სტუდენტებთან კომუნიკაციის გამჭვირვალობის შეფასება.

უარყოფითი შეფასების ძირითად მიზეზებად სტუდენტები ასახელებენ შემდეგ ფაქტორებს:

- დროში გაწელილი კომუნიკაცია, დაგვიანებული რეაგირება ან პასუხების არარსებობა სტუდენტის მიმართვის შემთხვევაში (მაგ. დაგვიანება სარეკომენდაციო წერილის ან სწავლის საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე). გარდა ამისა, სტუდენტები არ არიან ინფორმირებულნი სწავლის ხანგრძლივობისა და სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან არაერთგზის კომუნიკაციის მიუხედავად, მათ ვერ შესძლეს ამომწურავი პასუხების მიღება;

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სტუდენტებთან ოფიციალური კომუნიკაციისთვის ინტერნეტ პორტალის ნაცვლად არაფორმალური არხების გამოყენება (მაგ. ფეისბუქ ჯგუფი);
- სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში უნივერსიტეტის წარმომადგენელი აქვეყნებს ზოგად გაფრთხილებას სტუდენტებისთვის შექმნილ არაფორმალურ ფეისბუქ ჯგუფში იმის შესახებ, რომ სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ გადახდილი სწავლის საფასური, შეუჩერდებათ/შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი. რადგან ეს ინფორმაცია პირადად არ ეგზავნება აღნიშნული პრობლემის ადრესატს და ზოგადი შეტყობინების სახით ცხადდება ჯგუფში, აღნიშნული იწვევს გაურკვევლობას იმ სტუდენტებში, რომლებსაც გადახდილი აქვთ სწავლის საფასური. აქედან გამომდინარე, სტუდენტები იძულებულნი არიან მიმართონ უნივერსიტეტს მათ მიერ სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ცნობისათვის რათა დარწმუნდნენ, რომ განცხადება მათ არ ეხებათ;
- ენის ბარიერი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში. სტუდენტებს არ შეუძლიათ ოფიციალური მიმართვა ქართულ ენაზე მოამზადონ რასაც ითხოვს უნივერსიტეტი. ასევე, სტუდენტებმა არ იციან თუ ვინ არიან სხვადასხვა საკითხზე პასუხისმგებელი პირები და ვის უნდა მიმართონ საკითხების განსახილველად/გადასაჭრელად;
- სტუდენტები აქცენტს აკეთებენ უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან განსჯითი ტონით საუბარზე. შესაბამისად, სტუდენტები წარმოშობილ პრობლემებზე საუბარს გაურბიან, რათა არ იქნენ განსჯილნი.

1.6. უცხოელი სტუდენტების მიერ სტუდენტობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის ფლობა.

რესპოდენტთა 86%-ის პასუხი დადებითია კითხვაზე „გაქვთ თუ არა ოფიციალური დოკუმენტი რომლითაც დასტურდება, რომ თქვენ ხართ უნივერსიტეტის სტუდენტი?“.



დიაგრამა 10. უნივერსიტეტში ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების ფლობა.

ოფიციალურ დოკუმენტში, რესპოდენტთა 80% მოიაზრებს უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ „ჩარიცხვის შემოთავაზების წერილს“ (Letter of Admission Offer), მათ შორის 9% ასევე ასახელებს რომ აქვთ სხვა დოკუმენტიც, მაგალითად: ხელშეკრულება, ბინადრობის მოწმობა, სტუდენტის ბარათი.

სტუდენტების 13%-მა „ჩარიცხვის შემოთავაზების წერილი“ მისაღებად მიმართეს უნივერსიტეტს და მიიღეს პასუხი, ხოლო 8%-ს პასუხი არ მიუღია.

1.7. სტუდენტთა ინფორმირებულობა სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ.

აღსანიშნავია, სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია რესპოდენტებს შორის. სტუდენტების ნაწილს არ აქვს ნათელი ინფორმაცია სწავლის საფასურის შესახებ. ასევე სტუდენტების უმეტესობას არ გააჩნია ბსუ-ს მიერ გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა სწავლის საფასური გადაიხადა შუამავალი კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რომელმაც უზრუნველყო მათი უნივერსიტეტში ჩარიცხვა ბსუ-სთან თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, თუმცა ეს თანხები არ ასახულა ბსუ-ის ანგარიშზე, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ ფინანსური დავალიანება. ზოგიერთმა სტუდენტმა შემდგომი წლების სწავლის საფასურის გადახდა განახორციელა ბსუ-ის ანგარიშზე.



დიაგრამა 11. სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ რესპოდენტთა ინფორმირებულობის დონე.

ხაზგასასმელია, რომ სტუდენტებს არ გააჩნიათ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა ინფორმაცია სწავლის საფასურის შესახებ. ასეთი ინფორმაცია არ არის მოცემული „ჩარიცხვის შემოთავაზების წერილში“, რაც შეიძლება გახდეს სწავლის საფასურის ოდენობის განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველი ზოგიერთი შუამავალი კომპანიების/უნივერსიტეტის მხრიდან.

1.8. სტუდენტთა ინფორმირებულობა სწავლის ხანგრძლივობის შესახებ.

ისევე, როგორც სწავლის საფასურის შემთხვევაში, სწავლის ხანგრძლივობაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სტუდენტებისთვის. სტუდენტთა 77%-ს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. აქედან 95% პროცენტი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხზე შეეცადნენ მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტისგან, მაგრამ ვერ მიიღეს. სტუდენტთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ 2015-2016 წლებში) ჩაირიცხა უნივერსიტეტში იმ გათვლით, რომ სწავლას

დაასრულებდნენ 5 წელიწადში. სწავლის 5 წელიწადში დასრულების შესაძლებლობა მითითებულია „ჩარიცხვის შემოთავაზების წერილში“ (Letter of Admission Offer), თუმცა შემდეგ ეს პირობა შეიცვალა, რამაც გამოიწვია სტუდენტთა უკმაყოფილება. მათთან ზეპირ საუბრებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სწავლის ხანგრძლივობა გაიზარდა (ზოგიერთი სტუდენტი აფიქსირებს, რომ ახალი წესით სწავლის ხანგრძლივობაა 5.5 წელი, ზოგიერთის ინფორმაციით - 6 წელი). სტუდენტთა პასუხებიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან არ მოხდა საკმარისი ძალისხმევის გაღება, რათა სტუდენტებს მიეღოთ დეტალური ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.



დიაგრამა 12. რესპოდენტთა ინფორმირებულობის დონე სწავლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთი სტუდენტი აცხადებს, რომ უნივერსიტეტი მათ სთხოვს მომდევნო, ანუ მე-6 წლის საფასურის გადახდას.

სწავლის საფასურისა და ხანგრძლივობის საკითხზე გაურკვევლობა წარმოადგენს უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტების მხრიდან უნდობლობის მთავარ მიზეზს.

1.9. საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის შესაძლებლობების თანაბრობა.

რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის შეფასება უარყოფითია (გამოკითხულთა 90%) და მხოლოდ მცირე ნაწილი (10%) თვლის, რომ უნივერსიტეტში მათ გააჩნიათ განათლების მიღების ისეთივე შესაძლებლობები, როგორც ქართველ სტუდენტებს.



დიაგრამა 13. ქართველი და უცხოელი სტუდენტების სწავლის შესაძლებლობების შეფასება.

სტუდენტების კომენტარებში ძირითადად იკვეთება უკმაყოფილება შემდეგ საკითხებზე, რომლებზე ნაწილობრივ ხსენებულია ზემოთ: ქართველი სტუდენტებისგან განსხვავებით უნივერსიტეტის ოფიციალურ პორტალზე დარეგისტრირების შეუძლებლობა, უნივერსიტეტის სიახლეებზე, სხვადასხვა შესაძლებლობებზე და ლაბორატორიებზე წვდომის შეზღუდული შესაძლებლობები, საერთო საცხოვრებლის არსებობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის და ა.შ.

1.10. დამატებითი შესაძლებლობების მიმართ რესპოდენტთა ინტერესი.

კომენტარებში სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ ჰქონდეთ უფრო მეტ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგალითად:

- პრაქტიკა ლაბორატორიებში და სამედიცინო დაწესებულებებში;
- კულტურული და სპორტული ღონისძიებები;
- სემინარები, სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები;
- გაცვლითი პროგრამები;
- კამპუსები;
- საქმიანობა სოციალურ სფეროში და ნაწილობრივ განაკვეთზე მუშაობა.

1.11. რესპოდენტთა წვდომა ბსუ-ს ინტერნეტ პორტალზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტ პორტალი მხოლოდ ქართულ ენაზე. რესპოდენტთა 64% აცხადებს, რომ არ გააჩნიათ ანგარიში (ექაუნტი) უნივერსიტეტის ინტერნეტ პორტალზე. სტუდენტთა 5% კი აღნიშნავს, რომ არ იცის გააჩნია თუ არა ასეთი ანგარიში. ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია პორტალზე ანგარიშის ფლობის შესახებ, ისინი ანგარიშით ვერ ან არ სარგებლობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი ანგარიში არც მათ გააჩნიათ.



დიაგრამა 14. უნივერსიტეტის ინტერნეტ პორტალზე ანგარიშის (ექაუნტის) ფლობა.

სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ პორტალი არსებობდეს ინგლისურ ენაზეც - ინფორმაციის განახლებადი, სანდო და ოფიციალური წყარო, რომლის მეშვეობით ისინი მიიღებენ ამომწურავ და დროულ ინფორმაციას სწავლის განრიგის, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებების, კარიერული და სხვა შესაძლებლობების, სტიპენდიების, სხვადასხვა ღონისძიებების, საერთო საცხოვრებლის შესახებ, გაივლიან რეგისტრაციას სხვადასხვა მოდულებზე და გამოცდებზე, მიიღებენ საჭირო დოკუმენტებს. გარდა ამისა, რაც სტუდენტებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, პორტალის სახით იარსებებს უნივერსიტეტთან კომუნიკაციის ოფიციალური არხი, რომლის მეშვეობითაც ისინი გააგზავნიან მოთხოვნას ან შეკითხვას და მიიღებენ შესაბამის პასუხს.

კომენტარებში საუბარია იმაზეც, რომ უცხოელ სტუდენტებს შექმნილი აქვთ ელექტრონული ფოსტის მისამართები უნივერსიტეტის დომენის - bsu.ge-ის გამოყენებით, თუმცა არ ხდება მისი გამოყენება უნივერსიტეტთან კომუნიკაციისთვის, რაც მას უსარგებლოს ხდის. სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, ელექტრონული ფოსტის რეგისტრაცია განხორციელდეს bsu.edu.ge დომენის (და არა bsu.ge-ის) გამოყენებით, რაც მათ შეუქმნის უცხოურ ონლაინ ბიბლიოთეკებზე ან/და საინფორმაციო რესურსებზე უფასო წვდომის შესაძლებლობას.

1.12. რესპოდენტთა ინფორმირებულობა სტიპენდიების შესაძლებლობებზე უნივერსიტეტში/საქართველოში.

რესპონდენტთა 42% აცხადებს, რომ ინფორმირებულია უნივერსიტეტში/საქართველოში არსებულ სტიპენდიების შესახებ, 58% კი არ აქვს ინფორმაცია იმავე სტიპენდიებზე.

აღნიშნული საკითხი დიდწილად დაკავშირებულია უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პორტალის არარსებობასთან, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის სტიპენდიების მიღების შესაძლებლობებზე როგორც უნივერსიტეტში, ასევე სხვა წყაროებიდან.



დიაგრამა 15. ინფორმაციის ფლობა სტიპენდიების შესაძლებლობებზე უნივერსიტეტში/საქართველოში.

1.13. რესპოდენტთა ინფორმირებულობა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის შესახებ.

უცხოელ სტუდენტთა 21%-მა იცის, რომ უნივერსიტეტს აქვს საერთო საცხოვრებელი, თუმცა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი ინფორმაციით ის განკუთვნილი არ არის უცხოელი სტუდენტებისთვის.



დიაგრამა 16. ინფორმაციის ფლობა საერთო საცხოვრებლით სარგებლობის შესაძლებლობაზე.

1.14. უცხოელ სტუდენტთა განთავსება და საცხოვრებლის დაქირავება.

რესპოდენტთა 54% აცხადებს, რომ მათ წარმოეშვათ პრობლემები საცხოვრებლის დაქირავებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა.

უცხოელი სტუდენტები აფიქსირებენ შემდეგ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან განთავსების/ქირავნობის საკითხებზე:

- ზაფხულის სეზონის პერიოდისთვის საცხოვრებელი ბინის დაქირავების სირთულე;
- მაღალი ქირა უცხოელი სტუდენტებისთვის ქართველებთან შედარებით;
- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომა, რაც გულისხმობს, რომ მფლობელებს არ სურთ მიაქირავონ საცხოვრებელი ინდოელ სტუდენტებს;
- თაღლითობა გამქირავებლების ან/და შუამავლების მხრიდან.



დიაგრამა 17. განთავსების პრობლემას /საცხოვრებლის დაქირავებასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა.

1.15. უცხოელი სტუდენტების დასაქმება.

რესპოდენტების უმეტესი ნაწილი (65%) არ მუშაობს, მაგრამ დაინტერესებულია დასაქმების შესაძლებლობით. ასევე დიდია უცხოელი სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც არ არიან დასაქმებული და არც დაინტერესებული არიან დასაქმების საკითხით.



დიაგრამა 18. რესპოდენტთა დასაქმების მაჩვენებელი.

მხოლოდ უცხოელი სტუდენტების ძალიან მცირე რაოდენობაა დასაქმებული არასრულ სამუშაო განაკვეთზე (დაახლოებით 2%) და უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და მუშაობას.

1.16. ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

რესპოდენტთა 35% მიუთითებს, რომ ცდილობს გაიცნოს რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი და ჩამოაყალიბოს მათთან ურთიერთობები. 54% აცხადებს, რომ ადგილობრივებთან კონტაქტში შედის მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, რისი ძირითადი მიზეზიც - ენობრივი ბარიერია. მცირე ნაწილს კი უკვე ჰყავს ფართო სანაცნობო წრე (2%). რესპოდენტთა რაოდენობა, რომელიც არ ცდილობს ადგილობრივებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებას, მხოლოდ 4%-ია.



დიაგრამა 19. უცხოელი სტუდენტების ურთიერთობის დონის მაჩვენებელი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

გაცემული პასუხები იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ უცხოელი სტუდენტები გახსნილი არიან ურთიერთობისთვის, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მათი ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

1.17. დისკრიმინაციული მოპყრობა.

ამ საკითხზე მიღებული პასუხები ძალიან კარგი ინდიკატორია ადგილობრივი საზოგადოების ტოლერანტობის ხარისხის შესაფასებლად. განსაკუთრებით იმ ფაქტორების გათვალისწინებით რომ უცხოელი სტუდენტები მნიშვნელოვან თანხებს იხდიან სწავლის გადასახადის სახით, საცხოვრებლის დაქირავებისა და სხვა საჭიროებებისათვის.



დიაგრამა 20. უცხოელი სტუდენტების დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები.

გამოკითხულთა 54% საუბრობს დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტებზე, 46% კი აღნიშნავს რომ დისკრიმინაციული მოპყრობის ფატებს მის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

1.18. დისკრიმინაციული მოპყრობის ფორმები.

აღნიშნულ საკითხზე რესპოდენტებს რამოდენიმე პასუხის არჩევის შესაძლებლობა ჰქონდათ. ყველაზე დიდი მაჩვენებელია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია (36%), რომელსაც ენობრივი ბარიერის გამო დისკრიმინაცია მოსდევს (33%). დისკრიმინაციის დანარჩენი ფაქტორები შედარებით დაბალი მაჩვენებლებით არის გამოხატული.



დიაგრამა 21. რესპონდენტების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფორმები.

1.19. ღონისძიებები/შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ უცხოელი სტუდენტების საქართველოში ცხოვრების უკეთესი გამოცდილების მიღებას.

ამ საკითხზე რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ ოთხი პასუხის არჩევა. პასუხებიდან იკვეთება, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოსახლეობასთან უფრო მეტი ურთიერთობა, ქართული ენის უნარების დახვეწა.



დიაგრამა 21. ღონისძიებების/საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ რესპონდენტთა საქართველოში ცხოვრების უკეთესი გამოცდილების მიღებას.

1.20. უცხოელი სტუდენტების მიერ ენების ფლობა.

ყველა გამოკითხული უცხოელი სტუდენტი აცხადებს, რომ ფლობენ ინგლისურ ენას, ასევე მათი მცირე ნაწილი ფლობს ქართულს. სტუდენტების 86 პროცენტისთვის (114 სტუდენტი) საჭირო სერვისების და ინფორმაციის მისაღებად ენის ბარიერი დაბრკოლებას წარმოადგენს.

1.21. უცხოელი სტუდენტების უფლებები და სამართლებრივი დახმარების საჭიროება.

გამოკითხული სტუდენტების 37%-ს (49 სტუდენტი) დასჭირვებია საკუთარი უფლებების დაცვა.



დიაგრამა 22. საკუთარი უფლებების დაცვის საჭიროების შემთხვევათა მაჩვენებელი.

დამატებით კითხვაზე - „ვის მიმართეთ დახმარებისთვის უფლებების დასაცავად?“ პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- 10 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ლექტორებს;
- 7 - არავისთვის მიმიმართავს;
- 6 - იურისტს;
- 2 - პოლიციას;
- 2 - ინდოეთის საელჩოს სომხეთში;
- 15 - არ გასცა კითხვაზე პასუხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ უფლებების დასაცავად სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მიმართა დახმარებისთვის უფლებამოსილ ორგანოებს ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებს.

1.22. იურიდიულ მომსახურებასთან/კონსულტაციასთან წვდომა.

რესპოდენტების დიდი ნაწილი (81%) აღნიშნავს, რომ მას არ გააჩნია წვდომა იურიდიულ დახმარებასთან და კონსულტაციებთან; 11%-ს აქვს ინფორმაცია კერძო იურისტების შესახებ; მხოლოდ 8%-ს ჰყავს ნაცნობი იურისტი, რომელსაც მიმართავს საჭიროების შემთხვევაში.



დიაგრამა 23. რესპონდენტთა წვდომა იურიდიულ სერვისებთან

1.23. იურიდიული კონსულტაციების საჭიროება საკითხების მიხედვით.

კითხვაზე „ყველაზე მეტად რა საკითხებზე გჭირდებათ/დაგჭირვებიათ იურიდიული კონსულტაცია?“ რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის არჩევა. ბსუ-ს უცხოელ სტუდენტთა 47% აცხადებს, რომ იურიდიული კონსულტაციის მიღების საჭიროება ეხება უნივერსიტეტთან დაკავშირებულ თემებს და მათ შორის კომენტარებში სახელდება შემდეგი საკითხები:

- სწავლის საფასური;
- სწავლის ხანგრძლივობა;
- დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის გაცემა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები.

სტუდენტები ასევე საუბრობენ კერძო საკუთრების მფლობელების ან შუამავლების მხრიდან თაღლითობაზე.



დიაგრამა 24. საკითხები, რომლებზედაც რესპონდენტებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ იურიდიული კონსულტაცია.

1.24. საქართველოში ბინადრობის უფლების მიღების პროცედურები.

რესპონდენტებს შეეძლოთ კითხვაზე რამდენიმე პასუხის არჩევა. 51%-მა ბინადრობის უფლების მიღება შესძლო დამოუკიდებლად, ხოლო 32%-მა მეგობრების დახმარების/კონსულტაციების მეშვეობით.

ზეპირ საუბრებში სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ბინადრობის უფლების მისაღებად სამართლებრივი პროცედურების განხორციელება შუამავალი კომპანიების ვალდებულებას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სტუდენტებს მოუწიათ დამოუკიდებლად ეწარმოებინათ ბინადრობის უფლების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები.



დიაგრამა 25. ვისი დახმარებით მიიღეს/გააგრძელეს საქართველოში ბინადრობის უფლება რესპონდენტებმა.

1.25. იმიგრანტთა/სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ფლობა.

უცხოელი სტუდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას (94%) არ აქვს ინფორმაცია იმიგრანტთა/ სტუდენტთა მხარდამჭერი სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანიზაციების შესახებ. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ისინი ვერ სარგებლობენ დამატებითი შესაძლებლობებით, რომლებსაც სთავაზობს ადგილობრივი საზოგადოება.



დიაგრამა 26. იმიგრანტთა/სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ფლობა.

1.26. სიახლეების, წესებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები.

რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის არჩევა. სტუდენტთა უმრავლესობისთვის ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველი წყაროა ფეისბუქი.



დიაგრამა 27. რესპოდენტების მიერ სიახლეების, წესებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიღების პოპულარული წყაროები.

1.27. დაჯარიმების შემთხვევები სამართალდარღვევების გამო, გამოწვეული კანონების/დადგენილებების/რეგულაციების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით.

უცხოელი სტუდენტების 9% აცხადებს, რომ წესების არცოდნის გამო დაჯარიმებულან და 4% დამატებით აკონკრეტებს, რომ დაჯარიმდნენ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის წესების დარღვევის გამო.

1.28. ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისებთან ხელმისაწვდომობა.

2020 წლის 10 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება #572 „საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც უცხოელ სტუდენტებს დაევალათ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის ქონა საქართველოში ყოფნისას. ჩვენთვის საინტერესო იყო ინფორმაციის მიღება თუ რამდენი სტუდენტია დაზღვეული და რა სახის პრობლემებს აწყდებიან ამ კუთხით. თუმცა, როგოც დიაგრამა 28-ში ჩანს უცხოელი სტუდენტების მნიშვნელოვან რაოდენობას (49 სტუდენტი, 37%) დაზღვევა არ აქვს. ამ სტუდენტებიდან გარკვეული ნაწილი შესაძლოა საქართველოში არ იმყოფებოდა გამოკითხვის პერიოდში, მათგან 9 სტუდენტმა ამის შესახებ სპეციალურად აღნიშნა კითხვარში.

სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებით სტუდენტები ასახელებენ შემდეგ პრობლემებს: პრობლემა სადაზღვევო ანაზღაურებისას (13%) და მასთან დაკავშირებული რთული პროცედურები, ხედავენ ნაკლებ სარგებელს დაზღვევაში, მაღალი ფასი (11%), სადაზღვევო კომპანიების მიმართ უნდობლობა და უარყოფითი გამოცდილება მათთან ურთიერთობაში.

17 სტუდენტი (13%) აცხადებს, რომ სურთ დაეზღვიონ, თუმცა არ იციან როგორ.



დიაგრამა 28. რესპონდენტთა ჯანმრთელობის დაზღვევის მაჩვენებლები სადაზღვევო კომპანიების მიხედვით.

1.29. ფსიქოლოგიურ დახმარებაზე/თანადგომაზე ხელმისაწვდომობა.

რესპონდენტთა 33% (44 სტუდენტი) აცხადებს, რომ მათ არ აქვთ წვდომა ფსიქოლოგიურ თანადგომაზე, მაგრამ ასეთი მომსახურება ესაჭიროებათ.



დიაგრამა 29. რესპონდენტთა ფსიქოლოგიურ დახმარებაზე/თანადგომაზე ხელმისაწვდომობა.

II. ძირითადი მიგნებები.

2.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა სწავლის პირობებთან დაკავშირებით.

ბსუ-ის ინგლისურენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის“ განხორციელებისას იკვეთება რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სასწავლო პროცესის და ფინანსების მართვასთან:

- ბსუ-ის უცხოელ სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვთ გაფორმებული მათსა და უნივერსიტეტს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა მხარეების უფლება-მოვალეობებს, ფინანსურ ვალდებულებებს, ურთიერთობის წესებს და პროცედურებს.
- სტუდენტების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია ამომწურავი ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. „ჩარიცხვის შეთავაზების წერილის“ თანახმად, სტუდენტებში არსებობდა მოლოდინი, რომ ისინი სწავლის დაასრულებდნენ 5 წელიწადში. ფაქტობრივად, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 აგვისტოს №107 და 2020 წლის 22 მაისის №06-01/26 დადგენილებებით, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 წელს, მოცულობა - 360 კრედიტს. შესაბამისად, სტუდენტები ვერ დაასრულებენ სწავლას 5 წელიწადში.
- სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია ინფორმაცია სწავლის საფასურის შესახებ.

აღნიშნული ფაქტორები ქმნიან სწავლის საფასურის არაგამჭვირვალედ ფორმირების საშუალებას უნივერსიტეტის ან ზოგიერთი შუამავალი კომპანიის მხრიდან. ასევე სწავლის პერიოდის გახანგრძლივება 6 წლამდე, კერძო სექტორში საცხოვრებლის დაქირავების საჭიროება, უცხო ქვეყანაში მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები დამატებით ტვირთად აწვება სტუდენტებს, რაც უარყოფითად აისახება მათ ფინანსურ მდგომარეობაზე, უნივერსიტეტისადმი სტუდენტების ნდობაზე.

- ბსუ-ის უცხოელი სტუდენტები ნეგატიურად აფასებენ სასწავლო პროცესის ცალკეულ კომპონენტებს - ლექციები და სალექციო პროცესი, სასწავლო განრიგისა და გამოცდების მართვა, სასწავლო ინფრასტრუქტურა/გარემო, ლაბორატორიებზე წვდომა და პრაქტიკა, საბიბლიოთეკო რესურსებთან ხელმისაწვდომობა.
- უცხოელ სტუდენტებს აქვთ განცდა, რომ სასწავლო ინფრასტრუქტურის გამოყენებისას, სასწავლო პრაქტიკის პროცესში მონაწილეობისას და სტუდენტებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებისას ისინი არათანაბარ მდგომარეობაში არიან ქართველ სტუდენტებთან შედარებით.

არასათანადო სასწავლო პროცესი ქმნის მნიშვნელოვან უთანაბრობას სტუდენტების მიერ გადახდილ თანხებსა და იმ პროდუქტს შორის, რომლებსაც სტუდენტები იღებენ მათ მიერ გადახდილი თანხების სანაცვლოდ.

- განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს არასათანადო, არაეფექტიანი, დროში გაწელილი და არასრული კომუნიკაცია უცხოელ სტუდენტებსა და ბსუ-ის ადმინისტრაციას შორის, რაც წარმოშობს გაურკვევლობას სტუდენტებში, სირთულეებს სწავლის პროცესში და ამცირებს სწავლების ხარისხს. კომუნიკაციისას დამატებით სირთულეებს წარმოშობს ენობრივი ბარიერიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტები ეჭვქვეშ აყენებენ მათ მიმართ უნივერსიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას, რაც მნიშვნელოვნად აკნინებს უნივერსიტეტის ავტორიტეტს და მომავალში შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი ბსუ-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრად ქცევისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის გზაზე.

უნივერსიტეტის ნეგატიური შეფასებები შეიძლება ანალოგიურად აისახოს ქ. ბათუმზეც, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტულ ქალაქზე.

- ბსუ-ის სტუდენტებს არ აქვთ წვდომა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელზე ან ინფორმაცია მისი არსებობის შესახებ. შესაბამისად, უცხოელი სტუდენტები აღნიშნულ შესაძლებლობას ფაქტობრივად ვერ იყენებენ. აღნიშნულის გამო მათი ბათუმში ცხოვრების ღირებულება მაღალია, ასევე ზოგიერთი მათგანი აწყდება პრობლემებს განთავსების საკითხებთან დაკავშირებით.

- სტუდენტების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია ინფორმაცია უნივერსიტეტში/საქართველოში სტიპენდიების მიღების შესაძლებლობებზე, ასევე მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია სტუდენტური დასაქმების პროგრამებზე.

- უცხოელ სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს გაიცნოს და ჩამოაყალიბოს ურთიერთობა ადგილობრივებთან, თუმცა აქაც ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც არ ცდილობს ადგილობრივებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებას, გამოკითხულთა მხოლოდ 4%-ს შეადგენს.

- სტუდენტთა უმეტესი ნაწილის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის ფაქტებს, უმეტესწილად ეთნიკური ნიშნის მიხედვით. შედარებით ნაკლებად, ენობრივი ნიშნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოელი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვნად იზრდება ბათუმში ცხოვრების ღირებულება. სტიპენდიების, სტუდენტური დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის არქონა კი არ აძლევს მათ საშუალებას ნაწილობრივ მაინც დააკომპენსირონ ქ. ბათუმში სწავლასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები, ქართველ სტუდენტებთან შედარებით.

დისკრიმინაციის შემთხვევები ასევე ნეგატიურად აისახება სტუდენტებზე, უნივერსიტეტის და ქალაქის ავტორიტეტზე და მათ მიმზიდველობაზე უცხოელების მხრიდან. ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი, ბსუ-ს საერთაშორისო აღიარების გზაზე, შეაფერხოს უცხოელი სტუდენტების შემოდინება და მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი შეიძლება მიაყენოს მას.

- უცხოელ სტუდენტებში არსებობს სამართლებრივი დახმარების საჭიროება როგორც სწავლასთან დაკავშირებულ, ისე სხვა საკითხებზე.

- სტუდენტებს არ აქვთ უცხოელ სტუდენტთა საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებთან წვდომა, იქნება ეს საჯარო (უნივერსიტეტი, ადგილობრივი ხელისუფლება), არასამთავრობო ორგანიზაცია თუ სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც იქნება დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და ადგილობრივ საზოგადოებას და უნივერსიტეტს შორის, ასევე შეამცირებს კომუნიკაციის ბარიერს, უზრუნველყოფს უფრო მეტ ინტეგრაციას.

- უცხოელ სტუდენტებს არ აქვთ წვდომა კონსოლიდირებულ საინფორმაციო რესურსთან, რომლის მეშვეობითაც ისინი მიიღებდნენ მათთვის საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბსუ-ის ინგლისურენოვან საიტზე განთავსებულია ინფორმაცია უცხოელი სტუდენტებისთვის იურიდიული კლინიკის არსებობის შესახებ (https://bsu.edu.ge/sub-34/page/3-173/index.html), არც ერთ სტუდენტს ამ კლინიკისათვის არ მიუმართავს. ამასთანავე, ასეთი სტრუქტურის არსებობა უნივერსიტეტში მათთვის უცნობია. დასაზუსტებელია, იურიდიული კლინიკა რეალურად არსებობს, თუ ეს მხოლოდ უნივერსიტეტის პიარ ნაბიჯია, მაგრამ უცხოელი სტუდენტების მხარდამჭერი სამართლებრივი დახმარების სერვისების არსებობა (როგორც უნივერსიტეტში, ასევე დამოუკიდებლადაც), მნიშვნელოვანია მათი უფლებების დაცვის, სასწავლო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნული არაპირდაპირ მოქმედებს სტუდენტთა ფინანსურ დანახარჯებზე, რაც ასევე ნეგატიურად აისახება მათ მდგომარეობაზე.

- სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებით სტუდენტები აწყდებიან მნიშვნელოვან პრობლემებს - პრობლემა სადაზღვევო ანაზღაურებისას და მასთან დაკავშირებულ რთულ პროცედურებს, სადაზღვევო კომპანიების მხრიდან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხედავენ ნაკლებ სარგებელს დაზღვევაში, მაღალი ფასს რაც საერთო ჯამში აყალიბებს სადაზღვევო კომპანიების მიმართ უნდობლობას და ამკვიდრებს უარყოფით გამოცდილებას მათთან ურთიერთობაში.
- სტუდენტებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგიური თანადგომის/კონსულტაციის შესაძლებლობა, რაც, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, ზრდის სტრესულ ზეწოლას და ამძიმებს სტუდენტის მდგომარეობას.

დაზღვევის არქონა ან სადაზღვევო კომპანიების მხრიდან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობა შეიძლება მძიმე ფინანსურ ტვირთად დააწვეს სტუდენტებს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. ფსიქოლოგიური თანადგომის/სერვისების არარსებობა ართულებს ბევრი სტუდენტის მდგომარეობას და უარყოფითად აისახება სტუდენტის მათ აკადემიურ მოსწრებაზე. დაბალი აკადემიური მოსწრება ქმნის ცალკეული საგნების ხელახლა გავლის საჭიროებას და შესაბამისად იწვევს დამატებით ფინანსურ დანახარჯებს.

III. რეკომენდაციები

ქ. ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების მოზიდვა არ შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების ამოცანას. მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრებად ჩამოყალიბება იქნება მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლების მომტანი როგორც ამ უმაღლესი სასწავლებლებისთვის, ასევე ქალაქისთვის მთლიანად. შესაბამისად, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა ქ. ბათუმის სასწავლებლებში, მათთვის კომფორტული სასწავლო და საცხოვრებელი პირობების შექმნა, მათი დაახლოება ქართველ ახალგაზრდებთან და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაცია უნდა გახდეს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის და ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოებისთვის.

შემუშავებული რეკომენდაციები მოიცავს სხვადასხვა სტეიკჰოლდერებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაინტერესებული (ან უნდა იყვნენ დაინტერესებული) და ჩართული ქ. ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების მოზიდვით, ქ. ბათუმის, როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის განვითარებით.

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები შემუშავებულია სწორედ ამ ხედვებზე დაყრდნობით:

3.1. რეკომენდაციები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

3.1.1. სასურველია ბსუ-ში არსებობდეს მარკეტოლოგთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც პერიოდულად განახორციელებს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მოთხოვნების კვლევას, შეიმუშავებს და განახორციელებს ბსუ-ს მარკეტინგულ პოლიტიკას, უშუალო კომუნიკაცია ექნება ქ. ბათუმში სწავლით დაინტერესებულ ადამიანებთან და შუამავალ კომპანიებთან. შეისწავლის ამ კომპანიების ისტორიას და შეაფასებს მათი სანდოობის ხარისხს;

3.1.2. აუცილებელია შემუშავდეს ბსუ-ში უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი სტრატეგიები და დროში გაწერილი სამოქმედო გეგმები;

3.1.3. აუცილებელია ბსუ-ში არსებობდეს საშტატო ერთეული/ერთეულები/სტრუქტურა, რომელსაც ექნება მინიჭებული უცხოელი სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის კვლევის და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან ერთად მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის, რეკომენდაციების შემუშავების და მათი განხორციელების მონიტორინგის უფლებამოსილებები.

უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის, შესაბამისად ფინანსური შემოსავლების ზრდას, პირდაპირი საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბებას დაინტერესებულ ადამიანებთან, არაკეთილსინდისიერი შუამავლების გამორიცხვას ღირებულებათა ჯაჭვიდან, სტუდენტთა ფინანსური დატვირთვის შემცირებას და ბსუ-ის, როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის ავტორიტეტის ამაღლებას.

3.1.4. აუცილებელია უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს უცხოელ სტუდენტებთან და შუამავალ კომპანიებთან ურთიერთობის სამართლებრივ ასპექტებს - გააფორმოს ორმხრივი, ინდივიდუალური, ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ხელშეკრულებები (შუამავალი კომპანიების მონაწილოების შემთხვევაში შესაძლებელია სამმხრივი ხელშეკრულებების: უნივერსიტეტი - შუამავალი კომპანია - სტუდენტი), უცხოელ სტუდენტებთან. ხელშეკრულებაში, გარდა მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციისა, აუცილებელია მიეთითოს სწავლის ხანგრძლივობისა და საფასურის,

უნივერსიტეტის დამატებითი სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ასევე შუამავალი კომპანიების საკომისიოების ოდენობა და ფინანსური თანამშრომლობის პრინციპები.

საერთაშორისო ურთიერთობების გამოცდილების ნაკლებობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაინერგოს ყველა არასტანდარტული ხელშეკრულებისთვის ექსპერტიზის ჩატარების პრაქტიკა.

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით უნივერსიტეტი შეძლებს ოფიციალურ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს მისი ურთიერთობები სტუდენტებსა და შუამავალ კომპანიებს შორის. როგორც შედეგი, ყველა მხარე სამართლებრივად იქნება უფრო მეტად დაცული და აიცილებს თავიდან შეთანხმების შესაძლო ინტერპრეტაციებს და აქედან გამომდინარე უარყოფით ფინანსურ და რეპუტაციულ შედეგებს.

3.1.5. აუცილებელია მუდმივად განახლებადი ინგლისურენოვანი, სტუდენტური ინტერნეტ პორტალის შექმნა და მასში ყველა უცხოელი სტუდენტის გაწევრიანება. პორტალის მეშვეობით უცხოელმა სტუდენტებმა უნდა შესძლონ:

- მიიღონ სანდო, ოფიციალური და ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე: სწავლის პირობები, განრიგი, გამოცდები, აკადემიური თუ სხვა სახის რეგისტრაცია, ცვლილებები, სიახლეები, სხვადასხვა შესაძლებლობებით სარგებლობა (მაგ. სტიპენდიები, სემინარები, კონფერენციები, საერთო საცხოვრებელი);
- აწარმოონ ოფიციალური კომუნიკაცია უნივერსიტეტთან და მიიღონ დროული და ამომწურავი პასუხები დასმულ შეკითხვებზე, მოთხოვნილ დოკუმენტებზე (მაგ. ცნობა, რეკომენდაცია);
- მიიღონ ინფორმაცია მათ სამართლებრივ მდგომარეობაზე უნივერსიტეტთან მიმართებაში, უფლება-მოვალეობებზე;
- მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში თუ ადგილობრივ დონეზე არსებულ შეზღუდვებზე და რეგულაციებზე, მათ შორის COVID-19-ით გამოწვეული სირთულეების, ვირუსის გავრცელების პრევენციასა და შემცირებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შემოსვლის წესების და პირობების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ბსუ, ერთის მხრივ, შეძლებს სისტემატიზებული და უფრო მეტად ორგანიზებული გახადოს სასწავლო პროცესი, ხოლო მეორეს მხრივ, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდება სწავლასთან დაკავშირებული მათთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება, შემცირდება გაურკვევლობა სხვადასხვა საკითხებზე და თავიდან იქნება აცილებული უფრო მეტი სირთულე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება უნივერსიტეტის გამჭვირვალობის ხარისხი.

3.1.6. სწავლის პირობების მარეგულირებელი ის აქტები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესს (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, რექტორის ბრძანებები, და ა.შ.), აუცილებელია ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნდეს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ოფიციალურ წყაროებში;

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით უცხოელი სტუდენტები სრულად ინფორმირებულნი იქნებიან სწავლასთან დაკავშირებულ არსებული მდგომარეობის შესახებ, შეძლებენ აიცილონ თავიდან ის გართულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ინფორმაციის ნაკლებობის შედეგად. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხებზე უნივერსიტეტზე მიმართვიანობა მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც ასევე დადებითად აისახება უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

3.1.7. სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პერიოდული შეხვედრები უცხოელ სტუდენტებთან (მაგ. სემესტრის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ) იქნება ეს ყველა სტუდენტთან, კონკრეტული ნაკადის სტუდენტებთან ცალ-ცალკე თუ მხოლოდ აქტიურ და ლიდერ სტუდენტებთან. შეხვედრაზე სასურველია შემდეგი საკითხების განხილვა:

- სტუდენტების წინაშე არსებული პრობლემები, საჭიროებები და სირთულეები და მათი აღმოფხვრის გზები;
- სწავლის პირობებისა თუ კანონმდებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც შესაძლოა არსებითად აისახოს მათ სწავლის პროცესზე (მაგ. სწავლის ხანგრძლივობა, პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციებით გამოწვეული შეზღუდვები და სირთულეები და ა.შ.);

ზემოთ აღნიშნული შეხვედრები შესაძლოა ჩაატაროს უშუალოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სტუდენტების მიერ შერჩეულ ლიდერ სტუდენტთა ჯგუფთან (სტუდენტური თემის ლიდერებთან), რომლებიც მუდმივ კონტაქტში იქნებიან როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ასევე მათ თანაკურსელებთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით უნივერსიტეტი შეძლებს რეაგირება მოახდინოს სტუდენტთა წინაშე არსებულ მწვავე პრობლემებზე, შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს ისინი, გამონახოს გადაჭრის გზები, ასევე განმარტოს უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და უპასუხოს შესაბამის კითხვებს. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი აზრი სწავლების პროცესთან და პირობებთან დაკავშირებით, ასევე მიიღონ პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე. უკუკავშირი დაეხმარება უნივერსიტეტს გამოავლინოს ხარვეზები სწავლების პროცესში, გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი, შეიმუშავოს რეკომენდაციები და გაითვალისწინოს სამომავლოდ, თავიდან აიცილოს მსგავსი პრობლემები ახალი ნაკადების სტუდენტებთან.

3.1.8. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სწავლის თანაბარი შესაძლებლობები როგორც ქართველი, ისე უცხოელ სტუდენტებისთვის. ასევე, უზრუნველყოს ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის.

3.1.9. სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტთა სურვილი და გაახანგრძლივოს ქართული ენის კურსი. გარდა ამისა, სასურველია აღნიშნულ კურსს დაემატოს გარკვეული საათები ქართული კულტურის, ქართველი ხალხის, მათი ფასეულობებისა და ადათ-წესების შესახებ ინფორმაციის გასაცნობად.

ქართული ენის უნარ-ჩვევების გაღრმავება, ასევე მეტი ინფორმაციის მიღება ადგილობრივი საზოგადოების შესახებ, ხელს შეუწყობს უცხოელი სტუდენტების უფრო ეფექტურ კომუნიკაციას ადმინისტრაციასთან, ლექტორებთან, ქართველ სტუდენტებთან და ზოგადად, ადგილობრივ საზოგადოებასთან.

3.1.10. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა გაიღოს უცხოელი სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. ინფორმაცია საშუალებას მისცემს უცხოელ სტუდენტებს, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისარგებლოს საერთო საცხოვრებლით. აღნიშნული შესაძლებლობა სტუდენტს უფრო მეტ სტიმულს მისცემს აამაღლოს აკადემიური მოსწრება, ასევე თავიდან აიცილოს ისეთი პრობლემები როგორებიცაა საცხოვრებლის მოძიება, შეცვლა, კერძო საცხოვრებლის დაქირავების მაღალი ფასი და სხვა.

3.1.11. უცხოელ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა უნივერსიტეტში მათ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან, რომელიც იქნება მთავარი საკონტაქტო პირი და უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

3.1.12. სასურველია უნივერსიტეტს ჰყავდეს ფსიქოლოგიური თანადგომის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს დაეხმაროს სტუდენტს - დაძლიოს სწავლასთან დაკავშირებული სტრესი და აიმაღლოს სწავლის სტიმული. ისეთ საკითხებზე, საჭიროებებსა და პრობლემებზე, რომლებიც გამოკვეთილად დამახასიათებელია ბევრი სტუდენტისთვის, სპეციალისტმა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით უნდა იმუშაოს გადაჭრის გზების ძიებაზე. უცხოელი სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური სტრესი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს მათი აკადემიური მოსწრების და ზოგადად, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების მხრივ. მათზე განსაკუთრებით მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- უცხო ქვეყანა და მასთან დაკავშირებული სირთულეები: ადგილობრივი წეს-ჩვეულებების არ ცოდნა, მოსახლეობის განსხვავებული დამოკიდებულება, ენობრივი ბარიერი, განსხვავებული კულტურა;
- განსხვავებული საცხოვრებელი და საარსებო გარემო;
- ოჯახის წევრებისა და მეგობრების ფიზიკური სიახლოვის არარსებობა, შესაბამისად მათი მხრიდან შეზღუდული და არასათანადო თანადგომა და მხარდაჭერა;
- სკოლისგან განსხვავებული გარემო და წესები უმაღლეს სასწავლებლებში;
- უცხო ადამიანები, რომელთა ერთადაც უწევთ სწავლა და დროის გატარება (თანაკურსელები, ლექტორები);
- ყოველივე ზემოთ თქმულს ემატება COVID-19 პანდემია და მასთან დაკავშირებული სტრესული სიტუაციები.

ფსიქოლოგიური თანადგომის საკითხზე უნივერსიტეტს შეუძლია ითანამშრომლოს სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მსგავსი მომსახურების მიწოდებას უნივერსიტეტის სახელით. ასეთი პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც არ იქნება უნივერსიტეტთან ასოცირებული (მის სტრუქტურაში შემავალი), შესაძლოა უფრო მეტი ნდობით სარგებლობდეს სტუდენტების მხრიდან, განსაკუთრებით სასწავლო საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე და შესაბამისად, მისი საქმიანობა შესაძლოა უფრო მეტად ეფექტიანიც კი იყოს.

3.1.13. სასურველია ერთობლივი არასასწავლო ღონისძიებების (სპორტული, კულტურული და ა.შ.) დაგეგმვა უცხოელი და ქართველი სტუდენტების მონაწილეობით. ნებისმიერი სახის მულტიკულტურული ღონისძიება ხელს შეუწყობს როგორც უცხოელი, ისე ქართველი სტუდენტების ორმხრივ ინტეგრაციას უნივერსიტეტის დონეზე.

3.2. რეკომენდაციები რეგიონული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებებმა და თვითმმართველობის ორგანოებმა შეიძლება დიდი როლი შეასრულონ ქ. ბათუმის, როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის განვითარებაში, უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და მათთვის თანამდეროვე სასწავლო და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნისათვის. უცხოელი სტუდენტების საჭიროებები, ხშირ შემთხვევაში თანხვედრაშია სხვა კატეგორიის იმიგრანტების

საჭიროებებთან. შესაბამისად, იმიგრანტების ცალკეული მომსახურების სისტემების ამოქმედებით, შესაძლებელია უცხოელ სტუდენტთა საჭიროებების დაფარვაც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, საკუთარი დეპარტამენტების და საქვეუწყებო დაწესებულების მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინონ უნივერსიტეტს მარკეტინგული გეგმების შემუშავების, საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებისა და გაფორმების, ცალკეული ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზის საკითხებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, აჭარის განათლების ფონდის მეშვეობით შეიძლება უზრუნველყოს დამატებითი სასწავლო პროგრამების (მათ შორის დისტანციური) შემუშავება რეალიზაცია უცხოელი სტუდენტებისათვის. ასევე სასურველია უცხოელი სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, უცხოელთა ინფორმირების, კონსულტირებისა და ინტეგრაციის პროცესებში დიდ როლს თამაშობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. რეგიონში უცხოელთა სტუდენტთა ლოკაციის გათვალისწინებით, ეს როლი ქ. ბათუმის მერიამ უნდა შეასრულოს.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი სტუდენტები იმიგრანტთა სპეციფიკური კატეგორიაა, როგორც 2020 წლის აგვისტო-სექტემბერში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ მიერ იმიგრანტთა მდგომარეობის, მოთხოვნებისა და საჭიროებების და 2021 წლის მარტში უცხოელ სტუდენტთა მდგომარეობის, მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევებმა გვიჩვენა, მათი საჭიროებები ბევრი მიმართულებით თანხვდება ერთმანეთს.

საქმიანობები, რომლებიც შესაძლებელია განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა:

- სხვადასხვა საკითხებზე ინფორმირებულობის მიზნით საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობა იმიგრანტს მიაწვდის ინფორმაციას თუ რომელი საჯარო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით შეძლებს მის წინაშე არსებული საკითხის მოგვარებას, უფლების რეალიზაციას და ინტერესების დაცვას. ასევე მიაწვდის სხვა ინფორმაციას, მაგალითად, სხვადასხვა შესაძლებლობებზე იმიგრანტებისთვის;
- სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის, ასევე მათი და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით სხვადასხვა სახის კულტურული ან/და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
- ასევე საგანმანათლებლო და პიარ ღონისძიებების განხორციელება, ადგილობრივ მოსახლეობაში ტოლერანტობის დონის ამაღლებისა და უცხოელი სტუდენტების დისკრიმინაციის ფაქტების შემცირებისათვის.

აღნიშნული საქმიანობების ორგანიზებით, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს იმიგრანტთა ბათუმში ცხოვრების გამოცდილების გაუმჯობესებას, თავიდან აიცილებს ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით გამოწვეულ კანონდარღვევებს და შეძლებს ორმხრივი ინტეგრაციის პროცესის გაუმჯობესებას.

3.3. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის.

რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ხელისუფლებისთვის, შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმაც შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ცდილობენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ჰქონდეთ ურთიერთობა ხელისუფლების ორგანოებთან, მით უმეტეს თუ მათ აქვთ, ან ჰქონიათ რაიმე სახის გადაცდომა. ამ მხრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ უფრო მეტი ნდობის ხარისხი. შესაბამისად, მათ აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობები შესაბამისი პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის. განსაკუთრებით მოთხოვნადია იურიდიული კონსულტაციების სერვისი, რომლის მიწოდების პირდაპირი ვალდებულება არც შედის ხელისუფლების კომპეტენციაში. ასევე, უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, შესაძლებელია სტუდენტთა ფსიქოლოგიური თანადგომის მიმართულებით საქმიანობის განხორციელება.

3.4. რეკომენდაციები ინდოეთის სახელისუფლებო ორგანოების, სომხეთსა და საქართველოში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს და ინდოეთის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

კვლევის არეალი არ იძლევა მისი შედეგების საქართველოს მასშტაბით განზოგადების საშუალებას, თუმცა ბათუმის მასშტაბით მისი შედეგები სავსებით საკმარისია აღნიშნული ორგანიზაციებისთვის ყურადღების გასამახვილებლად.

აუცილებელია ინდოეთის სახელისუფლებო ორგანოების, მისი დიპლომატიური წარმომადგენლობების თუ ინდური არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საქმიანობის მეტად ფოკუსირება ბათუმში მცხოვრები ინდოელი სტუდენტების მიმართ შემდეგ საკითხებზე:

- პერიოდული კვლევების ჩატარება სტუდენტთა ცხოვრების და სწავლის პირობების შესახებ და გამოკვეთილ პრობლემებზე და საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობენ მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას, დროულ რეაგირებას წარმოქმნილ პრობლემებზე, მათი მწვავე ფაზაში გადასვლამდე;

- საქართველოში გამომგზავრებამდე სტუდენტებისთვის რჩევების და რეკომენდაციების მიწოდება/გამოქვეყნება შუამავალ კომპანიებთან და/ან უნივერსიტეტთან ურთიერთობის საკითხებზე. ასევე დეტალური ინფორმაციის მიწოდება, პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, საკომუნიკაციო და რეაგირების მექანიზმების შესახებ (ცხელი ხაზები, უცხოელთა თანადგომაზე მომუშავე ორგანიზაციები). აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა მზაობას - უპასუხონ შესაძლო გამოწვევებს წამოჭრილი როგორც უნივერსიტეტთან, ასევე ადგილობრივი საზოგადოებასთან მიმართებაში;

- შუამავალ კომპანიებთან თანამშრომლობა და მათთვის რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციები მიმართული უნდა იყოს ამ კომპანიების მიერ მეტი ძალისხმევის გაღებაზე, რომ მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ სტუდენტებს ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია (მაგ. გააფორმონ ხელშეკრულებები სტუდენტებთან, სათანადო წესით მიაწოდონ სწავლის საფასურის გადახდის შესახებ დოკუმენტაცია). აღნიშნულის მეშვეობით სტუდენტებს ექნებათ ნათელი ინფორმაცია მათი და კონტრაქტორის უფლება-მოვალეობებზე, შემცირდება ბუნდოვანება სწავლის საფასურთან დაკავშირებით, ამაღლდება სტუდენტთა უფლებების დაცვის ხარისხი;

- საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებების დაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მათგან საჭირო და დროული ინფორმაციის მიღებისა და ადეკვატური და დროული ღონისძიებების განხორციელების მიზნით. აღნიშნულის მეშვეობით ინდოეთის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო ეფექტიანად შესძლებენ სწრაფ რეაგირებას და გრძელვადიან პერსპექტივაში სტუდენტთა ინტერესების დაცვის წარმატებული პრაქტიკის დანერგვას;
- ბათუმში კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა/ჩატარება (განსაკუთრებით, ღონისძიებები ინდოელთა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივი მონაწილეობით), რაც ხელს შეუწყობს ინდოელ სტუდენტებს, ჩაერთონ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის განმტკიცებისკენ მიმართულ ღონისძიებებში და ასევე, ხელი შეუწყონ ადგილობრივი საზოგადოების და ინდური თემის წარმომადგენლების უფრო დაახლოებას;
- ინდოელ სტუდენტთა ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობის/სამთავრობო რეგულაციების შესახებ. განსაკუთრებით აქტუალურია კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე ინფორმაციის დროულად და ამომწურავად მიწოდება. აღნიშნულის მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ თავიდან აიცილონ ნეგატიური შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობის/სამთავრობო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის არ ქონამ.